*საქმე №2/13200-13*

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**საქართველოს სახელით**

**16 დეკემბერი, 2013წ.** **ქ. თბილისი**

შესავალი ნაწილი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

სასამართლოს დასახელება

**მოსამართლე - ქეთევან მამაცაშვილი**

**სხდომის მდივანი - ანნა ლომიტაშვილი**

**მოსარჩელე:**
სა----------;
**წარმომადგენელი:** მ----------;
**მოპასუხე:** ი/მ გ----------;
**წარმომადგენელი:** ლ---------;
**დავის საგანი:** თანხის დაკისრება.

## აღწერილობითი ნაწილი

**1. სასარჩელო მოთხოვნა**

**1.1.** მოპასუხე ი/მ გ---------- დაეკისროს პირგასამტეხლოს სახით - 1120 ლარის გადახდა შ---------- სასარგებლოდ.

მოსარჩელის განმარტებით, შ---------- და ი/მ გ---------- შორის გამარტივებული ელექტრონული **ტენდერ**ის საფუძველზე 2011 წლის 14 აპრილს გაფორმდა სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №4/3-73. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით 2011 წლის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად მოთხოვნიდან 2 კვირის განმავლობაში მიმწოდებელ ი/მ გ---------- უნდა მიეწოდებინა პირველი და მეორე ხარისხის ფქვილი. 2011 წლის 3 მაისს გაფორმებული მოწოდების გრაფიკის მიხედვით 2011 წლის 16 მაისამდე ი/მ გ---------- უნდა მოეწოდებინა 33000 კგ. პირველი ხარისხის და 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი. 2011 წლის 10 მაისის №95 და 11 მაისის №96 მიღება - ჩაბარების აქტებით შ---------- **მიწოდებ**ულია დროებით შენახვაზე 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი. ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ ფქვილი უვარგისია მოხმარებისთვის, რის გამოც აღნიშნული პროდუქცია დაუბრუნდა მიმწოდებელს. 2011 წლის 14 ივნისს ი/მ გ---------- მიერ

განმეორებით მოწოდებულია 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი, რაზედაც ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. სასაზღვრო პოლიციას პროდუქცია მიეწოდა 28 დღის **დაგვიანებ**ით და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.5 პუნქტის შესაბამისად დაჯარიმდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოწოდებული პროდუქციის ღირებულების 0.2%-ით, რაც ჯამში შეადგენს 1120 ლარს.

**2. მოპასუხის პოზიცია**

**2.1.** მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მოპასუხის განმარტებით, №4/3-73 ხელშეკრულება დადებულია 2011 წლის 14 აპრილს, რომლის საფუძველზეც, ი/მ გ---------- საქართველოს სასაზღვრო პოლიციისათვის უნდა მიეწოდებინა 168140 ლარის ღირებულების დაფქული მარცვლეულის პროდუქტი. ხელშეკრულების შესაბამისად მოპასუხეს მოსარჩელისათვის პროდუქცია უნდა მიეწოდებინა ეტაპობრივად **მიწოდებ**ის გრაფიკის შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია 2011 წლის 3 მაისს. ი/მ გ---------- მოსარჩელე მხარისათვის უნდა მიეწოდებინა 33000 კგ. პირველი ხარისხის და 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი, რაც მოპასუხის მიერ პირნათლად იქნა შესრულებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. 2011 წლის 10 და 11 მაისს ი/მ გ---------- მიერ მოწოდებული იქნა 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი. 2011 წლის 10 მაისს **მიწოდებ**ულ ფქვილს ექსპერტიზა ჩაუტარდა მხოლოდ 2011 წლის 20 მაისს, ექსპერტიზა უნდა ჩატარებულიყო დაუყონებლივ, სწორედ არასწორი შენახვის გამო იქნა პროდუქცია გაფუჭებული. 2011 წლის 14 ივნისს განმეორებით მოსარცელეს მიეწოდა 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი, რაზედაც გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. ვინაიდან მოპასუხე მხარის მიერ **მიწოდებ**ის ვადა არ დარღვეულა, პროდუქციის **მიწოდებ**ა მოხდა მოთხოვნიდან 2011 წლის 3 მაისიდან ერთი კვირის ვადაში 2011 წლის 10 და 11 მაისს. მოსარჩელე მხარის მიერ პროდუქციაზე ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ 2011 წლის 20 მაისს, **მიწოდებ**იდან 10 დღის შემდეგ, ხოლო დაწუნებული პროდუქციის უკან გამოტანის ნებართვა ი/მ გ---------- მისცეს მხოლოდ 2011 წლის 25 მაისს, რასაც მოწმობს აღნიშნული პროდუქციის დაბრუნების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა. ი/მ გ---------- მიერ მოსარჩელე მხარისათვის 2011 წლის 14 ივნისამდე ფქვილის ხელმეორედ **მიწოდებ**ის შეფერხება გამოიწვია მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის ფქვილის მოძიებამ.

**3. ფაქტობრივი გარემოებები**
**3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები**

**3.1.1.** შ---------- და ი/მ გ---------- შორის გამარტივებული ელექტრონული **ტენდერ**ის საფუძველზე 2011 წლის 14 აპრილს გაფორმდა სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №4/3-73 (დანართი №1). ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, ი/მ გ---------- ხელშეკრულების №1 დანართის მიხედვით 2011 წლის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად ეტაპობრივად მოთხოვნიდან 2 კვირის განმავლობაში უნდა მიეწოდებინა 104400 კგ 114840 ლარის ღირებულების პირველი ხარისხის ფქვილი და 53300 კილოგრამი 53300 ლარად ღირებული მეორე

ხარისხის ფქვილი.

**3.1.2**. 2011 წლის 14 აპრილის სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების **<u>მე-5 პუნქტის</u>** მიხედვით, ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3.1.3.** ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების **<u>მე-4 პუნქტის მიხედვით</u>**, შესყიდვის ობიექტი (საქონელი) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით. მიმწოდებლის მიერ **მიწოდებ**ული შესყიდვის ობიექტი (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნილ ტექნიკურ პირობებში აღნიშნულ პარამეტრებს.

**3.1.4.** ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების **<u>მე-5.2 პუნქტის მიხედვით</u>**, შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ეტაპობრივად.

**3.1.5.** მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული შესყიდვის ობიეტი (საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის **მიწოდებ**ის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მომწოდებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

**3.1.6.** თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან.

**3.1.7.** ხელშეკრულების საერთო პირობების **<u>10-ე პუნქტის მიხედვით,</u>** შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

**3.1.8.** ხელშეკრულების საერთო პირობების <u>20.1-ე პუნქტის მიხედვით,</u> ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და **დაგვიანებ**ით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**
- მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. სარჩელი, შესაგებელი, სხდომის ოქმი);
- სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ. 12-23);
- ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობები (ს.ფ. 18-22);

**3.1.9.** 2011 წლის 10 და 11 მაისს ი/მ გ---------- მიერ მოწოდებულია 20000კგ. მეორე ხარისხის ფქვილი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. სარჩელი, შესაგებელი, სხდომის ოქმი);
- ანგარიშ-ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები (ს.ფ. 61-67).

**3.1.10.** დადგენილია, რომ 2011 წლის 10 მაისს **მიწოდებ**ულ 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილს ექსპერტიზა ჩაუტარდა 2011 წლის 20 მაისს, რომლითაც დადგინდა, რომ ფქვილი უვარგისია მოხმარებისთვის, რის გამოც პროდუქცია უნდა დაბრუნებოდა მიმწოდებელს, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით უნდა შეეცვალა და წარედგინა შესაბამისი ხარისხის ფქვილი. დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ, რომ აღნიშნულის თაობაზე მოპასუხე მხარეს ეცნობა 2011 წლის 20 მაისს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ.სარჩელი, შესაგებელი,სხდომის ოქმი).

**3.1.11.** 2011 წლის 14 ივნისს ი/მ გ---------- მიერ შ---------- **მიწოდებ**ულია 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი, რაზედაც გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- მხარეთა ახსნა-განმარტება (იხ. სარჩელი, შესაგებელი, სხდომის ოქმი);
- ანგარიშ-ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები (ს.ფ. 61-67).

**3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები**

**3.2.1.** საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხე ი/მ გ---------- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების (11 დღის) ვადაგადაცილებით შესრულების გამო უნდა დაეკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად,

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც ის ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებებით, წერილობითი თუ ნივთიერ მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. სასამართლო თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილი არ არის მოპასუხის მიერ მითითებული სადავო ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

<u>დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ,</u> რომ მოპასუხემ 2011 წლის 10 და 11 მაისს მიაწოდა 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი. ამასთან, **მიწოდებ**ულ 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილს ექსპერტიზა ჩაუტარდა 2011 წლის 20 მაისს, რომლითაც დადგინდა, რომ ფქვილი უვარგისია მოხმარებისთვის, რის გამოც პროდუქცია უნდა დაბრუნებოდა მიმწოდებელს, რომელსაც ხელშეკრულების მიხედვით უნდა შეეცვალა და წარედგინა შესაბამისი ხარისხის ფქვილი. **დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ**, რომ აღნიშნულის თაობაზე მოპასუხე მხარეს ეცნობა 2011 წლის 20 მაისს.

<u>დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ,</u> რომ ხელშეკრულების თანახმად, **მიწოდებ**ული პროდუქციის შემოწმების შემდეგ მოპასუხე მხარე ვალდებული იყო წუნდებული პროდუქცია ხელახლა მიეწოდებინა.

ამასთან, შემსყიდველი ვალდებული იყო ოპერატიულად, წერილობითი სახით, ეცნობებინა მოპასუხისათვის საბოლოო შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების თაობაზე. შემსყიდველმა საქართველოს სასაზღვრო პოლიციამ <u>2011 წლის 20 მაისს აცნობა</u> მოპასუხე მხარეს მიღებული საქონლის წუნდების მიზეზები და წუნდებული საქონლის შეცვლა მოსთხოვა. ახალი საქონელი კი მოპასუხის მიერ **მიწოდებ**ულ იქნა 2011 წლის 14 ივნისს. ამდენად, შემკვეთი თანახმა იყო მოპასუხე მხარეს ხელახლა მიეწოდებინა პროდუქცია წუნდებულის ნაცვლად ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში.

<u>დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ,</u> რომ პროდუქციის **მიწოდებ**ის ვადად განისაზღვრული იყო შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 კვირიანი ვადა.

<u>დადგენილია და მხარეები არ ხდიან სადავოდ,</u> რომ 2011 წლის 14 ივნისს ი/მ გ---------- მიერ შ---------- **მიწოდებ**ულია 20000 კგ. მეორე ხარისხის ფქვილი, რაზედაც გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით და მხარეთა ახსნა-განმარტებით საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ პროდუქციის **მიწოდებ**ა ახალი მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა არა მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში, არამედ 2011 წლის 14 ივნისს - 11 დღის **დაგვიანებ**ით, ამდენად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ვადაგადაცილებით. რის გამოც მოპასუხე მხარეს უნდა დაეკისროს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

**სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:**

- სახელწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ. 12-22);
- მხარეთა ახსნა - განმარტება (შესაგებელი, სარჩელი, სხდომის ოქმი);
- ანგარიშ-ფაქტურები, მიღება-ჩაბარების აქტები (ს.ფ. 61-67).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც იგი ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარე თვითონ განსაზღვრავს, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მის მოთხოვნასა და შესაგებელს და რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტი - მოპასუხე მხარემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება **დაგვიანებ**ით და არასრულად შესრულების თაობაზე - <u>წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის არსებობის დასადასტურებლად მტკიცებულების სახით, მხოლოდ მოსარჩელე მხარის ახსნა-განმარტება არ არის სარწმუნო და საკმარისი.</u>

სასამართლო განმარტავს, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა მიგვეჩნია, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პიველი ნაწილის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად სასამართლოს მიაჩნია, რომ შ---------- სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

## სამოტივაციო ნაწილი

### 4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ შ---------- სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

**5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა**
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე, 477-ე მუხლებით.

**6. სამართლებრივი შეფასება**

**6.1.** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316.1 მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მხარეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ხოლო მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება, თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

მხარეთა შორის გაფორმებული სახელწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა.

დადგენილია, რომ მოპასუხის მიერ განმეორებით პროდუქციის **მიწოდებ**ა ახალი მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა არა მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში, არამედ 2011 წლის 14 ივნისს - 11 დღის **დაგვიანებ**ით, ამდენად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულდა ვადაგადაცილებით.

სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. 418.1 მუხლით კი ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხემ გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას. სასამართლო სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 418-ე მუხლების თანახმად, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო წარმოადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნის შესრულების მიმართ მხარის შესაბამისი ინტერესის უზრუნველყოფის საშუალებას, რომლის გადახდის ვალდებულების წარმოშობა

დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასთან. პირგასამტეხლო ეკისრება მხარეს იმ დროიდან, როდესაც უნდა ყოფილიყო შესრულებული დარღვეული ვალდებულება ამ ვალდებულების შესრულებამდე.

საქმეში არსებული მტკიცებულებების და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, სასამართლო დადასტურებულად მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია ვადაგადაცილებით. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს შსს საქართველოს სასაზღვრო პოლიცია წარმოადგენს უფლებამოსილ პირს მოსთხოვოს მოპასუხეს პირგასამტეხლოს გადახდა.

სასამართლოს მიაჩნია, რომ სახეზე გვაქვს სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები.

**7. საპროცესო ხარჯები**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს - სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. მოცემულ შემთხვევაში, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელე მხარე კი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს - 19.5 ლარის გადახდა.

**8. უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებული საკითხები**

**8.1.** საქმეზე უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

## სარეზოლუციო ნაწილი

***სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 49-ე, 53-ე, 243-ე, 244-ე, 249-ე, 364-ე, 369-ე მუხლებით და***

# გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

**1.** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:

**2.** მოპასუხე ი/მ გ---------- მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სასარგებლოდ დაეჯისროს ჯარიმის 440 ლარის გადახდა.

**3.** მოპასუხე ი/მ გ---------- სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - **19.5 ლარის** გადახდა.

**4.** გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის **მე-5 პუნქტით** გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

**5.** გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

*მოსამართლე:* *ქეთევან მამაცაშვილი*